ევროპული კანონმდებლობის მიმოხილვა

MYPLACE: მახსოვრობა, ახალგაზრდობა, პოლიტიკური მემკვიდრეობა და სამოქალაქო ჩართულობა (საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა)

MYPLACE

Web: www.fp7-myplace.eu

Blog: http://myplacefp7.wordpress.com/

Twitter: @ProjectMYPLACE

ესაა კანონმდებლობის პირველი მიმოხილვა (2013 წლის თებერვალი), რომლის მიზანიცაა გაგვაცნოს მეშვიდე ჩარჩო პროგრამის (FP7) კვლევითი პროექტი MYPLACE. პროექტში ჩართულია 14 ქვეყანა; მას კოორდინაციას უწევს მანჩესტერის უნივერსიტეტი. შემდეგ ორ მიმოხილვაში, 2014 წლის იანვარსა და ივლისში, წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგები და საკონონმდებლო რეკომენდაციები.

მიმდინარე პროექტი **დაწყებულია 2011 წლის ივნისში**

თებერვალი 2013

შესავალი

MYPLACE (www.fp7-myplace) არის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული 7.9 მილიონიანი პროექტი, რომელიც მიმდინარეობს 2011 წლის ინვისიდან 2015 წლის მაისამდე. MYPLACE იკვლევს ახალგაზრდების სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოციალურ ჩართულობას ევროპის 14 ქვეყანაში, კერძოდ – იმას, თუ რა გავლენას ახდენს მათ ჩართულობაზე ტოტალიტარიზმის და პოპულიზმის ისტორიული მემკვიდრეობა ევროპაში.

კონცეპტუალურად, პროექტი სცდება ცალკეული ეროვნული "პოლიტიკური კულტურების" შედარებას, ისევე როგორც პოლიტიკური მემკვიდრეობის მკაცრ კლასიფიკაციას, როგორც, მაგალითად, "პოსტ-კომუნისტურის" ან "ლიბერალ-დემოკრატიულის". ამის ნაცვლად, პროექტი ემყარება ისეთ წარმოდგენებს რადიკალური და პოპულისტური პოლიტიკური ტრადიციების შესახებ, რომლებიც ამ ტრადიციებს მთელი ევროპის მასშტაბით განიხილავს, და შეისწავლის მათი პოპულარობის წრიულ, და არა სწორხაზოვან ბუნებას.

ემპირიულად, MYPLACE იყენებს მასობრივი გამოკითხვის, ინტერვიუს და ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდების შთამბეჭდავ ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც გროვდება ახალი, პან-ევროპული მონაცემები. ეს მონაცემები არა მხოლოდ ზომავს ახალგაზრდების ჩართულობის დონეს, არამედ აგრეთვე შეისწავლის იმ მნიშვნელობებს, რომლებსაც ახალგაზრდები თავად უკავშირებენ თავის საქციელს.

ანალიტიკური თვალსაზრისით, რამდენადაც პროექტი ფოკუსირებულია ახალგაზრდობაზე და ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური ჩართულობის ისტორიულ და კულტურულ კონსტექტუალიზაციაზე, რუტინული და ხშირად აბსტრაქტული მოსაზრებების ნაცვლად პოლიტიკიდან „გარიყულობის“ შესახებ MYPLACE გვთავაზობს იმის მდიდარ ემპირიულ სურათს, თუ როგორია ახალგაზრდების წარმოდგენები და დამოკიდებულება ევროპის სამოქალაქო და პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი.

პოლიტიკური თვალსაზრისით, MYPLACE ადგენს, თუ რა წარმოდგენს როგორც დამაბრკოლებელ, ასევე ხელისშემწყობ ფაქტორებს იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა აღიქვან ევროპის პოლიტიკური არენა, როგორც „თავისი“ ადგილი („my place“).

კანონმდებლობის მიმოხილვის მიზანი

კანონმდებლობის ეს მიმოხილვა პირველია დაგეგმილი სამი მიმოხილვიდან, რომლებიც მომზადებული იქნება MYPLACE პროექტის ფარგლებში 2015 წლამდე. გარდა ამისა, გამოქვეყნდება კანონმდებლობის საფუძვლიანი მიმოხილვა, სადაც თავმოყრილი იქნება პროექტის მიგნებები, რომლებიც მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში აქტიურად ხდება ემპირიული მონაცემების შეგროვება. წინამდებარე მიმოხილვის მიზანია პროექტის ფარგლებში წარმოებული სამუშაოების წარმოდგენა და პროექტში პოლიტიკოსებისა და პრაქტიკოსების ჩართვის შესაძლებლობების შესწავლა. აქედან გამომდინარე, ამ დოკუმენტში განვიხილავთ, თუ რა შედეგებია მოსალოდნელი კვლევის ექვსი, ერთმანეთთან დაკავშირებული და კვლევაზე დაფუძნებული კომპონენტის („სამუშაო პაკეტის“) ფარგლებში; მიღებული შედეგები კი წარმოდგენილი იქნება მეორე და მესამე კანონმდებლობის მიმოხილვებში, კონკრეტულ რეკომენდაციებთან ერთად.

მონაცემები და ანალიზი

იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ ფოკუსირება მოახდინოს ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ყველაზე შესამჩნევ ასპექტებზე, MYPLACE ყოველმხრივ შეისწავლის უკიდურესად მემარჯვენე, რადიკალური მემარცხენე და პოპულისტური პოლიტიკური მოძრაობების გავლენას ახალგაზრდების ცნობიერებასა და ქცევაზე, და ამას ისტორიულ ჭრილში აკეთებს. MYPLACE სცდება ფართოდ მიღებულ, მაგრამ გარკვეულწილად შეზღუდულ განსაზღვრებებს, რომლებიც შემოიფარგლება მხოლოდ საარჩევნო პროცესთან, ან პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული პოლიტიკით, და რომელთა ყურადღების მიღმა რჩება ახალგაზრდების ქმედებების დიდი რაოდენობა, რომლთაც პოლიტიკური მნიშვნელობა და შედეგები აქვს. ეს ხდება მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სოციალური და პოლიტიკური მოქმედებების შესწავლის მეშვეობით, რომლებშიც ჩართულია ახალგაზრდობა და სადაც იკვეთება მათი პრიორიტეტები, მოლოდინები და ღირებულებები. პროექტი ცდილობს გააანალიზოს არსებული დამახასიათებელი თვისებები და გავლენები როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ჭრილში, და ახსნას თანამედროვე ახალგაზრდების ქცევა ეროვნული და ევროპული "ისტორიული მეხსიერების" მეშვეობით.

MYPLACE არის მასშტაბური პროექტი, რომელიც გამოირჩევა ორიგინალური მიდგომით მასობრივი გამოკითხვის, ინტერვიუებისა და ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდების გაერთიანების თვალსაზრისით, რათა შეისწავლოს როგორც ახალგაზრდების სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ჩართულობის დონე, ასევე ის სუბიექტური მნიშვნელობები, რომელთაც ახალგაზრდები უკავშირებენ ასეთ ჩართულობას. ახალგაზრდებსა და მათი სოციალური ჩართულობის ისტორიულ და კულტურულ ასპექტებზე ფოკუსირების მეშვეობით, MYPLACE პროექტი უპირისპრიდება პოლიტიკური ცხოვრებიდან "გათიშვის" ზემდეტად განზოგადებულ წარმოდგენებს და წარმოადგენს ემპირიულ მონაცემებს ახალგაზრდების შეხედულებების და სამოქალაქო და პოლიტიკურ სივრცეებში არსებულ ვითარებაზე მათი რეაქციების

მრავალფეროვნების შესახებ. პროექტი იკვლევს ამ პროცესებს 14 ქვეყანაში, რომლებიც ხასიათდება უაღრესად მრავალფეროვანი ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული პირობებით და სადაც ეს პირობები, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარად განაპირობებს ახალგაზრდების ცხოვრებას, შეხედულებებს და მათ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ქცევას. ამ ქვეყნებიდან ხუთი (ლატვია, ესტონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და ხორვატია) ცოტა ხნის წინ შეუერთდა ევროკავშირს, ან უახლოეს მომავალში გახდება ევროკავშირის წევრი. საქართველო და რუსეთი, რომელთაც განსხვავებული კულტურულ-ისტორიული წარსული აქვთ, არ არიან ევროკავშირის წევრები. „ცენტრალურ“ ევროპას და სკანდინავიას წარმოადგენენ დანია, ფინეთი და გერმანია (გერმანიის შემთხვევაში, ცალ–ცალკე განიხილება ქვეყნის ყოფილი დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები). პროექტში მონაწილეობს სამხრეთ ევროპის სამი დიდი ქვეყანა – ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი, ხოლო ანგლო-საქსური სამყარო წარმოდგენილია ინგლისით. აქედან გამომდინარე, პროექტი მოიცავს ქვეყნების ფართო სპექტრს, რაც საშუალებას აძლევს გამოავლინოს, თუ როგორ განსაზღვრავს საერთო ევროპული და ცალკეული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი განსხვავებული ეროვნული პოლიტიკური და კულტურული ტრადიციები და ეკონომიკური პირობები ახალგაზრდების რეაქციებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენების მიმართ.

აქედან გამომდინარე, MYPLACE-ის ამბიციური მიზნები და კვლევითი მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ შედგები შესაბამისობაში იქნება არსებულ პოლიტიკურ მოთხოვნებთან ევროპულ და ეროვნულ დონეებზე. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენების მეშვეობით შესაძლებელი იქნება ახალი ტენდენციებს დანახვა ევროპის ბევრ ქვეყანაში, კერძოდ:

- გაიზომება ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდების დამოკიდებულება პოლიტიკური ორგანიზაციების, სოციალური მოძრაობებისა და სამოქალაქო ჩართულობის პროგრამების მიმართ, ახალგაზრდების მონაწილეობა ამ ორგანიზაციების საქმიანობაში; გავიგებთ, როგორ განსხვავდება ეს დამოკიდებულებები და ჩართულობა გენდერის, ეთნიკურობის, კლასისა და რეგიონის მიხედვით;

- გაიზომება შეხედულებები პოლიტიკური წარმომადგენლობის და ქცევის ლეგიტომური ფორმების შესახებ განსხვავებული დემოკრატიული მემკვიდრეობის პირობებში;

- შესწავლილ იქნება ახალგაზრდების აქტივობის დონე ევროპის მასშტაბით და ის კავშირები, რაც არსებობს ახალგარზრდა აქტივისტებს შორის რეგიონალურად და ტრანს-ნაციონალურად;

- გაანალიზებული იქნება, რამდენად მიყვებიან ახალგაზრდები დამკვიდრებულ ტრადიციებს, თუ, პირიქით, ანვითარებენ/ცვლიან მათ სოციალური აქტიურობის ინოვაციური ფორმებით ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე დაყრდნობით;

- შესწავლილი იქნება, თუ რამდენად იზიარებენ ახალგაზრდები რადიკალური, ექსტრემისტული და პოპულისტური მოძრაობების იდეებს, და არსებული კავშირი პოლიტიკური მემკვიდრეობის გადაცემის ფორმებთან რეგიონალური, ეროვნული და ევროპული მასშტაბით;

- შესწავლილი იქნება, თუ რა გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე, მათ დამოკიდებულებებსა და რეაქციებზე ისეთი მოვლენები, როგორებიცაა, მაგალითად, ”არაბული გაზაფხული”, გლობალური ეკონომიკური კრიზისი, იმიგრაცია, საზოგადოებრივ სექტორში ხარჯების შემცირება, უმაღლესი განათლების რეფორმა და სოციალური დახმარების სისტემის რესტრუქტურირება.

პოლიტიკის გავლენა და რეკომენდაციები

თეორიულ ცოდნაზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის კვლევის შედეგების თავმოყრასთან ერთად, MYPLACE პროექტის მე-8 კომპონენტი (იხ. ქვემოთ) უზრუნველყოფს, რომ ეს შედეგები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული პოლიტიკურ დისკუსიებსა და განხილვებში თითოეული ქვეყნის და, ზოგადად, ევროპულ დონეზე. ამ მიზნით პროექტის დაწყებისთანავე ყველა პარტნიორ ქვეყანაში შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის ექსპერტთა ჯგუფი (YPAG), რომლის წევრებიც ექსპერტები და პოლიტიკოსები არიან. ექსპერტების შეხვედრები უკვე ჩატარდა, და მათ უკვე შეიტანეს პირველადი წვლილი კვლევის დიზაინში. თანდათან YPAG-ები სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ შედეგების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, გააანალიზებენ შედეგების მნიშვნელობას ახალგაზრდული პოლიტიკის კუთხით, და დაგვეხმარებიან, ვუზრუნველყოთ ამ შედეგების გამოყენება ისე, რომ ეს გამოსადეგი და რელევანტური იყოს ახალგაზრდულ საკითხებსა და ახალგაზრდულ პოლიტიკაზე მომუშავე პოლიტიკოსების ფართო სპექტრისთვის ეროვნულ და ევროკავშირის დონეებზე.

საქართველოს YPAG-ში ამჟამად 8 წევრია. ჯგუფის მუშაობას უძღვება ქ–ნი თინათინ ამბროლაძე (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, რეგიონალური წარმომადგენლობა). ჯგუფის შეხვედრები იმართება წელიწადში ორჯერ. დამატებითი ინფორმაციისთვის საქართველოს MYPLACE YPAG-ის საქმიანობის შესახებ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ქ–ნ თინათინ ამბროლაძეს (tiko@crrccenters.org).

კვლევის პარამეტრები



MYPLACE-ის ფარგლებში ხდება რაოდენობრივი შედეგების შეგროვება 30 ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში – ყოველი პარტნიორი ქვეყნის 2 რეგიონში და გერმანიის 4 რეგიონში (2 რეგიონი ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში და 2 – ყოფილ დასავლეთ გერმანიაში). ყოველ რეგიონში აგრეთვე ტარდება სიღრმისეული ინტერვიუები 30 რესპონდენტთან. ყველა ქვეყანაში ხდება 3 საინტერესო ახალგაზრდული მოძრაობის ან ორგანიზაციის ეთნოგრაფიული ანალიზი. კვლევის პარტნიორები არიან მუზეუმები, სადაც წარმოდგენილია ქვეყნის ისტორია. პროექტი ეყრდნობა „შერეული მეთოდის“ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც ერთიანდება ხუთი ერთმანეთთან დაკავშირებული კომპონენტი (სამუშაო პაკეტი – WP), რომლებიც ქვემოთაა აღწერილი (WP 2, 3, 4, 5, 6).

დამატებით, პროექტის ორი სამუშაო პაკეტის (WP 8 და 10) მიზანია კვლევის შედეგების გავრცელება და რეკომენდაციების მომზადება როგორც პოლიტიკოსებისა და პრაქტიკოსებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის.

მასობრივი გამოკითხვის (WP4) საველე სამუშაოები საქართველოში ჩატარდა ორ ქალაქში, ქუთაისსა და თელავში. პროექტის (WP2) არა–აკადემიური პარტნიორია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, YMCA-თელავი (http://www.facebook.com/pages/YMCA-Telavi/197248024931?fref=ts).

სამუშაო პაკეტი 2 - წარსულის ინტერპრეტაცია (ისტორიული მეხსიერების კონსტრუქცია და გადაცემა)

სამუშაო პაკეტის ხელმძღვანელები:

- ანტონ პოპოვი (Anton Popov, University of Warwick)
- დუსან დიაკი (Dusan Deak, წმინდა კირილეს და მეთოდეს უნივერსიტეტი, ტრნავა)

ეს სამუშაო პაკეტი ფოკუსირებულია MYPLACE კვლევის იმ ასპექტებზე, რომლებიც „მეხსიერებასთან“ არის დაკავშირებული, და ხორციელდება მუზეუმებთან, არქივებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რომლებიც „მეხსიერების შენახვის“ ფუნქციას ასრულებენ. ამ სამუშაო პაკეტის მთავარი მიზანია, საზოგადოებაში მიმდინარე იმ საჯარო დისკურსების შესწავლა და შედარებითი ანალიზი, რომლებიც ქვეყნის უახლესი ისტორიის "რთულ" პერიოდებს უკავშირდება (მაგალითად, ავტორიტარიზმი, კომუნიზმი, ფაშიზმი, ნაციონალ–სოციალიზმი, ნეოლიბერალიზმი და სხვა), როგორც ეს პერიოდები წარმოდგენილია „მეხსიერების ცენტრებში“, ანუ საჯარო დაწესებულებებში, სადაც ინახავენ ინფორმაციას და ცოდნას წარსულის მოვლენების შესახებ. ამასთან, ის იკვლევს მეხსიერების გადაცემას თაობებს შორის ოჯახებში, და თუ რა გავლენას ახდენს ეს ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკურ ჩართულობაზე.

ეს სამუშაო მოიცავს მთელ რიგ აქტივობებს, მათ შორის ეთნოგრაფიულ კვლევას, თაობათაშორის ინტერვიუებს, ფოკუს ჯგუფებს ახალგაზრდებთან და ინტერვიუებს ექსპერტებთან. ამ სამუშაო პაკეტის საველე სამუშაოები უკვე დასრულდა და მიმდინარეობს შედეგების ანალიზი.

სამუშაო პაკეტები 3 და 4 - საველე სამუშაოების მომზადება და ახალგაზრდების ჩართულობის გაზომვა მასობრივი გამოკითხვის მეშვეობით

სამუშაო პაკეტის ხელმძღვანელები:

- გარი პოლოკი (Gary Pollock, მანჩესტერის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი) (WP 3 და 4)
- თინათინ ზურაბიშვილი (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, საქართველო) (WP4)

სამუშაო პაკეტი 3 დასრულდა 2012 წლის თებერვალში. მის შედეგად მივიღეთ ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარა ემპირიული კვლევის დიზაინის (კერძოდ, გამოკითხვის, სიღრმისეული ინტერვიუების და ეთნოგრაფიული კვლევის) და შესაბამისი კვლევის ინსტრუმენტების დახვეწაში.

სამუშაო პაკეტი 4–ის ფარგლებში ხდება პროექტის ყველაზე მასშტაბური მონაცემების შეგროვება ყოველი ქვეყნის შერჩეულ რეგიონებში ახალგაზრდების გამოკითხვის გზით. ამ სამუშაო პაკეტის მთავარი ამოცანაა, თავი მოუყაროს რაოდენობრივ მონაცემებს, რათა:

- დადგენილ იქნეს ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური აქტივობის ფორმების მრავალფეროვნება ყოველი ქვეყნის ორ შერჩეულ რეგიონში;

- გაიზომოს, თუ რა იციან რესპონდენტებმა რადიკალური პოლიტიკური ძალების შესახებ, რა დამოკიდებულება აქვთ ამ ძალების მიმართ და მათთან ურთიერთობის რა გამოცდილება აქვთ;

- გამოვლინდეს რესპონდენტების ცოდნის დონე და დამოკიდებულება დემოკრატიული ჩართულობის და წარმომადგენლობითობის სხვადასხვა ასპექტისადმი;

- აღწერილ იქნეს პოლიტიკური ჩართულობის ფორმები ცალკეული ქვეყნების და ევროპის მასშტაბით;

- შემუშავებულ იქნეს პოლიტიკური ჩართულობის ტიპოლოგიები ცალკეული ქვეყნების და ევროპის მასშტაბით;

- სტატისტიკური მოდელირების მეშვეობით დადგენილ იქნეს, თუ რა ფაქტორები განაპირობებს ახალგაზრდების ჩართულობის სხვადასხვა დონეს და ტიპს;

- შესწავლილ იქნეს პოლიტიკური ჩართულობის კატეგორიები სხვა სოციალური აქტივობების პარალელურად.

ახალგაზრდების გამოკითხვა დაიწყო 2012 წლის დასასრულს და გაგრძელდება 2013 წლის დასაწყისამდე. 14 ქვეყნის 30 რეგიონში (აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში შერჩეულია ორ–ორი რეგიონი) გამოკითხული იქნება 18,000 ახალგაზრდა.

სამუშაო პაკეტი 5 - სამოქალაქო ჩართულობა: ახალგაზრდების ინტერპრეტაციები (ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები)

სამუშაო პაკეტის ხელმძღვანელები:

- ფლორიან სიპოსი (Florian Sipos, University of Debrecen)

ამ სამუშაო პაკეტის ფარგლებში ჩატარებული იქნება დაახლოებით 900 სიღმისეული ინტერვიუ WP4-ის გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტებთან, რათა:

- გამოვლენილ იქნეს იმ მოსაზრებების მნიშვნელობები, რომლებიც რესპონდენტებმა გამოკითხვის დროს გამოთქვეს;

- რესპონდენტებს მიეცეთ საშუალება, უფრო დეტალურად ახსნან თავისი პოზიციები გამოკითხვის ძირითადი საკითხების შესახებ;

- უზრუნველყოს იმის საშუალება, რომ გაჟღერდეს ის გამოცდილება ან იდეები, რომლებიც მნიშვნელოვანია კვლევისთვის, მაგრამ არ იყო კითხვარის ნაწილი.

მე–5 სამუშაო პაკეტის ფარგლებში საველე სამუშაოები ტარდება მასობრივი გამოკითხვის პარალელურად.

სამუშაო პაკეტი 6 – ახალგაზრდების აქტიურობის ტიპოლოგია

სამუშაო პაკეტის ხელმძღვანელები:

- აირი–ალინა ალასტე (Airi-Alina Allaste, ტალინის უნივერსიტეტი)
- მარიონა ფერერ–ფონსი (Mariona Ferrer-Fons, Pompeu Fabra University, Barcelona)

პროექტის ფარგლებში, თითოეული ქვეყნის გუნდი შეისწავლის ახალგაზრდების აქტივობის სპექტრს იმ რეგიონებში, სადაც გამოკითხვა მიმდინარეობს, და გაანალიზებს მას ზოგადად ქვეყანაში არსებული მდგომარეობის და ქვეყნის ისტორიის გათვალისწინებით. ეს გულისხმობს თითოეულ ქვეყანაში იმ სივრცის განსაზღვრას და აღწერას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სოციალური აქტივობა, ხოლო შემდგომ – ახალგაზრდების აქტივობის ტიპოლოგიის შემუშავებას, რომელიც ასახავს როგორც საერთო ევროპულ ვითარებას, ასევე ეროვნულ/რეგიონალურ განსხვავებებს. სამუშაო პაკეტი 6-ის კონკრეტული მიზნებია:

- თითოეულ ქვეყანაში იმ სივრცის განსაზღვრა და აღწერა, რომლის ფარგლებშიც ვითარდება ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური აქტივობა;

- როგორც ყოველი ქვეყნისთვის, ასევე ტრანსნაციონალურ (შედარებით) დონეზე ახალგაზრდების აქტივობის ტიპოლოგიების შემუშავება;

- იმის დადგენა, თუ რამდენად მობილიზებულნი არიან ახალგაზრდები „ცალკეული“ საკითხების გადასაწყვეტად, და რამდენად აღელვებთ მათი ქვეყნის და/ან ევროკავშირის მომავალი;

- იმ საკითხების გამოვლენა, რომლებიც საკვანძოა ახალგაზრდების მობილიზებისთვის თითოეულ ქვეყანაში და რომლების მიმართაც ახალგაზრდობა გულგრილი რჩება.

სამუშაო პაკეტი 7 – აქტივობის ინტერპრეტირება (ეთნოგრაფიული კვლევა)

სამუშაო პაკეტის ხელმძღვანელები:

- ჰილარი პილკინგტონი (Hilary Pilkington, მანჩესტერის უნივერსიტეტი)
- ფილ მიზენი (Phil Mizen, University of Warwick)

ყოველ ქვეყანაში სამი ეთნოგრაფიული კვლევა ტარდება ახალგაზრდა აქტივისტების ჯგუფებთან. შერჩეული ჯგუფების ტიპები განისაზღვრა WP6-ის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციით ახალგაზრდების აქტივობის ტიპების შესახებ. ეს ჯგუფები შერჩეულ იქნა არა მათი წარმომადგენლობითობის გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ იმ აქტივობის საინტერესო, რთულ ან ახალ ფორმას, რომელიც მნიშვნელოვანია პროექტის ამოცანებიდან და კვლევითი კითხვებიდან გამომდინარე. სამუშაო პაკეტი 7-ის მიზნებია:

- მოგვაწოდოს ღრმა ცოდნა ახალგაზრდების აქტივობის ფორმების შესახებ ევროპის ფარგლებში;

- შეისწავლოს ახალგაზრდების აქტივობის კონკრეტული შემთხვევები, სადაც ახალგაზრდობა იზიარებს ავტორიტარულ ან პოპულისტურ იდეოლოგიას;

- შეისწავლოს ახალგაზრდობის აქტივობის კონკრეტული შემთხვევები, სადაც ახალგაზრდობა უარყოფს, ან ეწინააღმდეგება ავტორიტარულ ან პოპულისტურ იდეოლოგიას;

- ნათელყოს, თუ როგორ და რამდენად განსხვავდება ახალგაზრდული აქტივიზმი პოლიტიკური აქტივიზმის სხვა ფორმებისგან;

- დაადგინოს ის კავშირები, რაც ქვეყნებს შორის არსებობს ახალგაზრდული აქტივიზმის კუთხით.

ამ სამუშაო პაკეტის შედეგად მივიღებთ 40–ზე მეტ ეთნოგრაფიულ შემთხვევის შესწავლას, რომლებიც გადანაწილდება მსგავს "კლასტერებში" და შემთხვევებს შორის ანალიზის შესაძლებლობას მოგვცემს.

სამუშაო პაკეტი 8 - პოლიტიკური გავლენა

სამუშაო პაკეტის ხელმძღვანელები:

- მარტი ტარუ (Marti Taru, ტალინის უნივერსიტეტი)
- მიკ კარპენტერი (Mick Carpenter, University of Warwick)

ამ სამუშაო პაკეტის ფარგლებში უშუალოდ იქნება განხორციელებული პოლიტიკური აქტივობები, რათა გაძლიერდეს კავშირი მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის ევროპულ და ქვეყნების დონეებზე.

ევროპულ დონეზე:

- ევროკომისიის ახალგაზრდული პროგრამისთვის Youth in Action (2007–2013) სამეცნიერო მონაცემების მიწოდება და პოლიტიკის ანალიზის მომზადება სამ ძირითად პრიორიტეტულ საკითხთან დაკავშირებით: ახალგაზრდების ჩართულობა; კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და რასიზმის/ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლა; და ევროპული მოქალაქეობა;

- ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ ევროპული ცოდნის ცენტრის (EKCYP – http://youth-partnership-eu.coe.int/youth-partnership/ekcyp/index) საშუალებით პოლიტიკის ანალიზის მომზადება ევროსაბჭოსა და ევროკომისიისათვის, აგრეთვე – შედეგების გაცნობა ევროკომისიის ეროვნული კორესპონდენტებისთვის და ევროსაბჭოს ახალგაზრული კვლევების ქსელის წევრებისათვის; თანამშრომლობა შედგების გამოყენების მიზნით პოლიტიკის შეფასებისა და რეკომენდეციების შემუშავების პროცესში;

- CORDIS-ის საშუალებით პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნის გავრცელება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის შესახებ ევროპის მასშტაბით.

ქვეყნების დონეზე:

- კავშირების დამყარება შესაბამის ეროვნულ ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან და მათთვის პროექტის შესაბამისი მიგნებების გაცნობა;

- პოლიტიკოსებთან და პრაქტიკოსებთან ერთად მუშაობა, რათა ყველა პარტნიორ ქვეყანაში შემუშავებულ იქნეს ემპირიულ ცოდნაზე დამყარებული პოლიტიკის მიმოხილვა პარტნიორი ქვეყნის ენაზე, რომელიც გაითვალისწინებს პოლიტიკოსების, ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე პრაქტიკოსებისა და აკადემიური დარგის მკვლევარების მოთხოვნილებებს, და ფოკუსირებული იქნება ადგილობრივი კონტექსტისთვის აქტუალურ საკითხებზე;

- ამ ერთობლივი პუბლიკაციის აქტიურად გავრცელება ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით.

პროექტის მონაწილე თოთხმეტივე ქვეყანაში შექმნილი ახალგაზრდული პოლიტიკის ექსპერტთა ჯგუფების შეხვედრები უკვე ჩატარდა; ჯგუფების წევრებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს კვლევის დიზაინის შემუშავებაში. მომავალში ისინი დაგვეხმარებიან შედეგების ინტერპრეტაციაში, რეკომენდაციების შემუშავებასა და ინფორმაციის გავრცელებაში, როგორც ეს ზემოთაა აღნიშნული.

სამუშაო პაკეტი 9 – ინფორმაციის გავრცელება

სამუშაო პაკეტის ხელმძღვანელები:

- გარი პოლოკი (Gary Pollock, მანჩესტერის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი)
- ელენა ომელჩენკო (კვლევითი ცენტრი „რეგიონი“, ულიანოვსკის სახელმწიფო უნივერსტიტეტი)

სამუშაო პაკეტი 9 მოიცავს ყველა აქტივობას, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის გავრცელებას, მათ შორის:

- აკადემიური პუბლიკაციები,
- ვებ–გვერდი,
- სოციალური მედია (Wordpress, Twitter და Facebook),
- ვიზუალური ინფორმაციის გავრცელება (მათ შორის, ფილმები და ფოტო–ბიბლიოთეკები),
- კონფერენციები,
- პარტნიორ მუზეუმებთან ერთად ორგანიზებული ღონისძიებები.



MYPLACE-ის ქვეყნები

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის დასახელება

მახსოვრობა, ახალგაზრდობა, პოლიტიკური მემკვიდრეობა და სამოქალაქო ჩართულობა (MYPLACE)

კოორდინატორი

პროფესორი ჰილარი პილკინგტონი, მანჩესტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი

hilary.pilkington@manchester.ac.uk

კონსორციუმი

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
თბილისი, საქართველო

Centro Investigacao e Estudos de Sociologia
ლისაბონი, პორტუგალია

Daugavpils Universitate
დაუგავპილსი, ლატვია

Debreceni Egyetem
დებრეცენი, უნგრეთი

Friedrich-Schiller Universitaet Jena
იენა, გერმანია

Institut Drustvenih Znanost Ivo Pilar
ზაგრები, ხორვატია

მანჩესტერის მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი
მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი

Panteion University of Social and Political Sciences
ათენი, საბერძნეთი

State Institution of Ulyanovsk Research and Development Centre "Region"
ულიანოვსკი, რუსეთის ფედერაცია

Syddansk Universitet
სიონერბორგი, დანია

ტალინის უნივერსიტეტი
ტალინი, ესტონეთი

მანჩესტერის უნივერსიტეტი
მანჩესტერი, დიდი ბრიტანეთი

The University of Warwick
კოვენტრი, დიდი ბრიტანეთი

Universitaet Bremen

ბრემენი, გერმანია

Universitat Pompeu Fabra
ბარსელონა, ესპანეთი

University of Eastern Finland
კუოპიო, ფინეთი

Univerzita sv Cyrila a Metoda v Trnavae
ტრნავა, სლოვაკეთი

დაფინანსების სქემა	ევროკავშირის მეშვიდე ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში - ერთობლივი პროექტი SSH-2010-5.1-1: "დემოკრატია და ტოტალიტარიზმისა და პოპულიზმის ჩრდილები: ევროპული გამოცდილება".
ხანგრძლივობა	ივნისი, 2011 – მაისი, 2015 (48 თვე).
ბიუჯეტი	ევროკავშირის კონტრიბუცია: 7 994 463 €.
ვებ-გვერდი	www.fp7-myplace.eu
საკონტაქტო პირი	მარტინ პრაისი (პროექტის მენეჯერი) – admin@fp7-myplace.eu
დამატებითი მასალა	ანგარიში 2.1: პროექტის მონაწილე ქვეყნების ანგარიშები ისტორიული დისკურსის შექმნის პროცესის შესახებ (გამოქვეყნებული იქნება ევროკომისიის და MYPLACE-ის ვებ-გვერდებზე).